გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 126

2020 წლის წლის 11 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.32.324), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/ნ 418471022) 2020 წლის 3 სექტემბრის №19217 წერილის საფუძველზე, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ გორში, არსენ მარაბდელის ჩიხის N1-ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.32.324, სადგურის საბავშვო ბაღის განსათავსებლად აშენებული შენობა) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში განაცემა, შემდგომში სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების განსათავსებლად, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია შემდგომი მოვლა-პატრონობის მიზნით, საჯარო დაწესებულებაში ხარისხიანი და კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდების, აღზრდის პროცესის ოპტიმალურად წარმართვის, სკოლამდელი დაწესებულების ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ა(ა)იპ-ის წესდებით გათალისწინებული სხვა ფუნქციების განსახორციელებლად გადაეცეს ზემოთ ხსენებული უძრავი ქონება ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/ნ 418471022), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გორში, არსენ მარაბდელის ჩიხი N1-ში მდებარე 1479.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 794.98 კვ.მ. შენობა-ნაგებობა საკადასტრო კოდი N66.45.32.324.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე

GEORGIA GORI MUNICIPALITY 218086087